წელიწადი 1-ლი | გაზ. ფასი 10 კ. | ტელეფონი № 76. | შაბათი 10 ივნისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ღირს . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა ერთიუჯერ არა უმეტეს სამ გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ტფილისს ქ. ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—6 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 50 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

9 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება საუცხოვო სანახაობა

თავისუფლების დღესასწაული მომქმედ ჯარში

„ი ს“

ნაგრაუესკის რომანიდან 4 ნაწ. მონაწ. ბ. ი. რუტკოვსკი, ა. ვოლკოვი და მოროზოვი.

ანონსი: 5 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება მიმდინარე ამბების ქრონიკა და საგულისხმიერო პროგრამა

მეუღლე თუ დედა?

1 სერია, დრამა 4 ნაწ. მონაწ. გერმანოვისა და სხვა.

ყურადღება! ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

8 ივნისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება

სამხედრო ქრონიკა

ნინა

მხატვრული დრამა. 4 ნაწ. ბარანცევიჩისა და რასბანოვისა.
კომიკური. **ძუნწი პრენსი.**

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

**ანონსი:** 12 ივნისიდან ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი **ბედნიერება არის თუ არა ძრიელი სიყვარულზე?** კინო დრამა 5 ნაწ. მონაწ. მარია რუტცი, კ. ხოხლოვისა, ბ. რუტკოვსკი და დორონინი.

— ქ. ქ უ თ ა ი ს ი —

ამ დღეებში ქ. ქუთაისში

გამოვა

ორკვირ. წმინდა ს ა მ ხ ა ტ ვ რ ო

ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო

ჟ უ რ ნ ა ლ ი

„ს ი რ ი ნ ო ზ ი“

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზრდა **მგოსან-ბელეტრისტები**

მასალები მიიღება შემდეგი მისამართით: ქუთაისი „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია ჟურნალ „სირინოზისათვის“

რედაქტორები: **ლადო მაჭავარიანი.**
**ალ. ხარატაშვილი.**

# ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის

## ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ.

### ქუთაისის მოქალაქენო!

კვირას 11 ივნისს ამა 1917 წლისა, მოხდება ქალ. ქუთაისის მცხოვრებთა ერთდღიური აღწერა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ასარჩევად საყოველთაოდ საარჩევნო უფლების საფუძვლით. საყოველთაო არჩევნები რომ განხორციელდეს და ყოველ მოქალაქეს შეძლება ექნეს მონაწილეობა მიიღოს ამ არჩევნებში, საჭიროა, რომ ამ დღეს (კვირას) ყოველი მოქალაქე სახლში დარჩეს ან თვითონ ან დატოვოს ოჯახის ისეთი წევრი, რომელსაც შეეძლება სწორი ცნობები მიაწოდოს რეგისტრატორს (ამწერელს) ოჯახის შემადგენლობის შესახებ. პირადი ბარათი (ქარტა) სდგება ოჯახის ყოველ წევრზე (განურჩევლად სქესისა), რომელიც ოცი წლის, ან მეტის იქნება, გარდა ბერ-მონაზვნებისა, ან ისეთ პირთა, რომელნიც კანონით ცნობილნი არიან შეშლილებად გიჟებად და ყრუ-მუნჯებად, ან რომელთაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი აქვთ ისეთი სასჯელი, რაც ზღუდავს მათ უფლებრივ-ქონებრივად.

ქუთაისის ქალაქის საარჩევნო კომიტეტი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს
ყოველ დღე დილის 10—2 საათ. და საღამოს 7—9 ს. ბუშკინის ქუჩა, ვოლემანსის სახლი.

# დ ღ ე ს:

**წერილები:**

ი. იმერელი—საქართველოსათვის.
გ. ტყეშელაშვილი — ქართველები სპარსეთში.
ჯიბ. —ომი.
მ. ბუაჩიძე.—ორი სიტყვა სვანებზე.
ქართული პრესა.
შეიძლება თუ არა რუსეთში განხორციელდეს ფედერაცია?

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. რუსეთი. უცხოეთი. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. უკანასკნელი ამბები. მოწერილი ამბები. ვაჟაფშაველას სახელობის ბიბლიოთეკის ცარშემო. ახალი ამბავი.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

ქუთაისის ვაჭართა საზოგადოების ბიუროს

მამასახლისი, ამით თხოვს ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთ, დაესწროს ვაჭარ-მრეწველთა

საზოგადო კრებას,

რომელიც დანიშნულია 11 ივანობისთვეს დილის 9 საათზე, ქუთაისის საზოგადოების საურთიერთო ნდობის ბანკის შენობაში. მიზანი კრებისა: ვაჭართა ბიუროს მეტათ საინტერესო საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლათ.

ვაჭართა მამასახლისი— **რომანოზ მახარაძე.**

გთხოვთ დაესწროთ

ქვიტირის ქუჩის მომავალ გასახსნელ საზოგადო **წიგნთ-საცავ სამკითხველოს** სასარგებლოდ გამართულ

ს ა ღ ა მ ო ს

ამავე ქუჩაზე კოსტა ბაბუნაშვილის სახლში, ივნისის 10-ს საღამოს 10 საათზე; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წვიმიანი დღე იქნა, საღამო გადაიდება შემდეგ შაბათისთვის. ა. რ.

სატახტო-ქალაქის ცირკი ძმ. ეჟიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



შაბათს 10 ივანობისთვეს 1917 წ. გაიმართება გრანდიოზული სასპორტო ატლეტიური წარმოდგენა, რომელიც შესდგება საუკეთესო ცირკის რეპერტუარისაგან უკანასკნელი გასტროლები განთქმული ბელგიელთა დასისა

5 ბ ლ ი კ ე ტ ი

დღეს იჭიდავებს 3 წყვილი

1. კავკასიურად იჭიდავებს განთქმული-მოჭიდავე ალექ. ზაალიშვილი და ტერტერაშვილი 2. ფრანგულათ იჭიდავებს მეორეთ წითელი პირბადოსანი და ქალბატონირიურიკი 3. ქალბატონი ბელანია და რობსტონი წარმოდგენის დასაწყისი 8 ნახევარ საათზე. ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

**ანონსი.** კვირას 11 ივნისს დღისით გაიმართება უკანასკნელი წარმოდგენა დასაწყისი 1 საათზე. ადგილების ფასი 5 შაურიდან 1 მანეთ ნახევრამდე.

ამ დღეებში გაიმართება გრანდიოზული ბენეფისი განთქმულ ბელგიელთა დასისა

5 ბ ლ ი კ ე ტ ი

## საქართველოსთვის.

მომავლის პერსპექტივა საყოველთაოთ უნდა გავითვალისწინოთ, აღელვებულს ზღვაში ჩვენი თავი ვსცნათ!

ყოველი მხარე ჩვენი ცხოვრებისა უნდა გავაშუქოთ რეალ ანალიზით და სინტეზით, რომელიც საფუძვლათ დაედება ჩვენს უახლოეს მოქმედებას.

დღეს ბევრი რამ გვევალება და მრავალი ტკივილი გვაქვს. ყოველ დღიურ ცხოვრების სინათლეზე წარმოდგენილი ესა თუ ის მოთხოვნილება, საჭიროება, სიმწვავე და კრიზისი სრულიადაც არ არის ცალკე პარტიული საწყაულიდან ამოხეთქილი.

იგი არის მთელი ერის ტკივილი.

ხალხის სიძნელეთა მიმართ ორნაირი განყენებული აზრი შეუძლებელია. ტკივილთა განკურვა მაშინ ხდება, როდესაც მასზე საერთო ძალით მიდიან მოიერიშენი. მდგომარე მომენტი ჩვენ საერთო ძალის წარმოშობას, ერთობილათ ჩამოქნას გვიბრძანებს.

საყოველთაო სახელმძღვანელო აზრის შექმნაა საჭირო.

ჩვენს ქვეყანას სიმშილი ემუქრება. აქ შეერთებულის ძალით გამოსავალი გზა უნდა ვეძიოთ. ხალხი უკიდურეს სიღარიბეშია— საერთო ძალღონით უნდა მივეშველოთ.

ეროვნული სკოლა არ გვაქვს საერთო თანხმობით ეს დაუყოვნებლივ უნდა გავიჩინოთ. ჩვენი ქვეყნის მეურნეობა განსაცდელშია—ყველამ უნდა მივხედოთ. ქართული სასამართლო გვჭირია—მისს დაარსებას უნდა შეუდგეთ. ადგილობრივი მმართველობა უვარგისია იგი გარდავქმნათ ჩვენი ცხოვრებასთან შეფერებულ თვითმმართველობათ.

სახელმწიფოში „გარდაქმნა“ ხდება. გამოუცდელები ბორძიკობენ და ტალახში ეფლობიან. ჩვენ დაუკვირდეთ მდგომარეობა—გარემოებას, რომ კისერი არ მოვიტეხოთ. უპირველესი საწინდარი ჩვენი ეროვნულ ცხოვრებისა დღეს საკუთარი თავისუფლების დამყარებაა. გარეშე ამ პირობისა წარმოუდგენელია საქართველოს ხალხის ბედნიერება.

ველირსეთ იმ მომენტს, როდესაც ეროვნულ მისწრაფებისთვის საქართველოში აღარ ხდება იდეურათ მოპირდაპირე პარტიათა მიერ ერთმანეთისადმი სამარის გათხრა. თავისუფლება საქართველოისა ყველას სწამს, ყველა გრძნობს, რომ მხოლოდ მაშინ თავისუფალ ცხოვრებას შეუძლიან ქართველი ხალხის უკეთესი მომავლის გამოწვევა. გლეხი, მუშა, მოხელე, ცალ-ცალკე და ყველა ერთხმათ მოითხოვს ჩვენი შინათ მყოფელობის დამკვიდრებას. ასეთი მომენტის დადგომა ახარებს ყველას. მგრამ სიხარულს თან უნდა სდევდეს საქმე ძლიერი შინაარსიანი და მიზან შეწონილი.

შინაურობაში რომ საქართველოს თვითმყოფელობა გვეკეროს პირზე, ეს რას გვარგებს?

საჭიროა სურვილი ერისა საქმეთ ვაქციოთ... ხელუხლებელ ლამაზ სიტყვებს სხეული მივსცეთ. გავიგოთ, საიდან რას მოველით, შევიტყოთ, ვინ რას გვპირდება, ან რას გვართმევს? წარმოვიდგინოთ საერთო ძალთა განწყობილება და სამოქმედო პირობები.

რადგან ეროვნულ თავისუფლების მოსაპოებლად თვით დრომ წარმოშვა ინტერპარტიული საქართველო, დღეიდან საქართველოს თავისუფლების დასამკვიდრებელი მუშაობა ყველამ შეთანხმებით გავსწიოთ. ნაკუწ-ნაკუწ აზრს საკანონმდებლო სფეროებში გასავალი არ ექნება. ყოველი ნაბიჯი, განზომილათ, დაკვირვებულათ და გაბედულათ უნდა გადავსდგას. დღეიდან ჩვენს მოღვაწეობას უნდა მიეცეს რეალური და ეროვნული ხასიათი.

აწ რაც მოხდება საქართველოში, ყველამ თანასწორათ უნდა გავიზიაროთ, ერის შეურაცხყოფელს ყველამ პასუხი უნდა მოვსთხოვოთ, ერის მოყვარე ყველამ უნდა მივიღოთ. გავეცნოთ და შევისწავლოთ ეს თუ ის სახელმწიფური კითხვა. შევქმნათ სპეციალი ცოდნის გამავრცელებელი ეროვნული სკოლები. გავავრცელოთ ხალხში კულტურა. ამ თავიდანვე შეუდგეთ საყოველთაო სავალდებულო უფასო სწავლების შემოღებას. თანასწორი თვალყური ვადევნოთ ჩვენი ცხოვრების ზრდისა და განვითარების პირობებს. ჩაუდგეთ სათავეში ჩვენს ცხოვრებას, გავაჩაღოთ ჩამქრალი კერა, დავიცვათ ჩვენი თავი, პატივი ვსცეთ წარსულს ნუ გავსწირავთ და უიმედობით ნუ შევმოსავთ მომავალს ვამბობთ, დღეს აღორძინებისთვის საუკეთესო პირობებიაო. მაგრამ პირობებისათვის თავად არაფერს ქმნიან, არაფერს გვარგუნებენ“, თუ მას პარალელურათ შეგნებით არგავყევით.

ვიმოქმედოთ ერთის ძალით.

ყველაფერი საქართველოსთვის! ამას მოითხოვს ქართველი ხალხის ნამდვილი ინტერესი.

ი. იმერელი.

## ქართული პრესა.

გაზ. „ერთობა“ თავის წერილში „ორი ტაქტიკა“ ერთმანეთს უპირისპირებს რუსეთის სოციალდემოკრატის ორ ფრთას, „მეუმრავლესეთა“ და „მეუმცირესეთა“, და მათ მოქმედებასა და მისწრაფებას შემდეგნაირად ახასიათებს:

სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტათ საინტერესო გამოდგა. აქ ერთი მეორეს დაუპირდაპირდა ორი

ტაქტიკა ანარქისტულ მაქსიმალისტური და სოციალ-დემოკრატიული.

პირველის დამცველია ლენინი. ის მოითხოვს დაუყონებლივ მთელი წარმოების და პატრონების და სოციალიზმის განხორციელებას. ამ მიზნით ის ემხრობა დღესვე მიწის კონფისკაციას, სახელმწიფო ძალა-უფლების სოციალისტების მიერ ხელში ჩაგდებას, ხოლო ბურჟუაზიის წარმომადგენელთა დატუსაღებას. ძლიერი კლასის ცეცხით დატუქსვას ლამობენ. რუსეთის რევოლუციაში იაკობინელთა და ბლანკისტთა ტაქტიკას აწარმოებენ.

ურილობამ ლენინთა გზა გადაჭრით დაგმო. სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის დამცველად გამოვიდა სახელოვანი კაკი წერეთელი, ახლანდელი ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი და მას გვერდში ამოუდგენ სხვა მრავალი ცნობილი რევოლუციონერები. რევოლუციურ ფრაზეოლოგიას ისინი რევოლუციურ საქმეს უპირდაპირებენ. ლენინი რევოლუციის დაქსაქსვას და რეაქციონერთა გაძლიერებას ნიადაგს უმზადებს. მართლაც, მიიღეთ ლენინთა ტაქტიკა და ყველგან ანარქია გამეფდება. აკი ლენინი სიამოვნებით ეგებება კრონშტატის ამბებს. ახლავე შეუდექით მემამულეთა და საეკლესიო—სახაზინო ადგილ-მამულის ხელში ჩაგდებას, და ეჭვს გარეშეა, გლეხკაცობა ერთი მეორის წინააღმდეგ დაირაზმება და ამ გზით რევოლუცია დასამარდება. ლენინი დემოკრატიის დამარცხებას ემსახურება. ამიტომაც არის მის წინააღმდეგ ამჟამათ მთელი რევოლუციური დემოკრატია გამოდის.

სრულიად რუსეთის ყრილობაზე ლენინი განაცალკევეს. ეს საუკეთესო თავდებაა ანარქისტული ტაქტიკის უარყოფისა და მით რევოლუციის გაძლიერების.

## შეიძლება თუ არა რუსეთში განხორციელდეს ფედერაცია.

ამ სათაურით გაზ. „ბირჟ. ვედ.-ში" დაბეჭდილია ალ. პანტელეევის წერილი. რადგან წერილი ჩვენი მკითხველისათვისაც საზოგადო ინტერესებს არ არის მოკლებული, ამიტომ იგი მოგვყავს უცვლელათ.

„ზოგიერთ პირველ მნიშვნელობის კითხვებს. ჩვენი რადიკალი წრეები გულ ცივათ და ანგარიშ გაუწევლათ ეპყრობიან. ისინი არ ეძებენ სიძნელისგან გამოსავალ გზას და მარტო კეთილ სურვილებით აპირებენ აღთქმის ქვეყანაში მისვლას.

ასეთი კითხვებია ადგილობრივ თვითმმართველობისა, ავტონომიის და ფედერაციის კითხვა. ამ კითხვებს ამას წინად სახალხო თავისუფლების პარტიამ ერთი სხდომა უძღვნა, რომელზეც მოსმენილ იქმნა თ. კოკოშკინის მოხსენება. კოკოშკინი აღნიშნავდა, რომ რუსეთისთვის სრულიად შეუფერებელია ფედერატიულ რესპუბლიკის პრინციპი, მით უმეტეს შეუსაბამო, თუ მას ეროვნულ საფუძვლებზე დამყარებულათ ვიგულისხმებთ.

ეროვნულ საფუძვლებზე დამყარებულ ფედერაციული რესპუბლიკა რომ რუსეთისთვის უაზრობა არის, ამის დასამტკიცებლათ კოკოშკინს შემდეგი მოსაზრება მოჰყავს.

რუსეთში ორი ეროვნება, ველიკორუსები და მალოროსები რიცხვით აღემატებიან ყველა დანარჩენ ეროვნებათ.

ამ შემთხვევაში პროპორციული წარმომადგენლების პრინციპით მცირე ეროვნებათა ხმას ჩაყლაპავს ველიკორუსები და მალოროსები, რადგან ისინი რიცხვით ყველამ ეროვნებაზე მეტი არიან.

თუ ყველა ხალხს მივსცემთ თანასწორ ხმას (შვეიცარიაში Conseil des etats-ში ყოველ კანტონს მიუხედავათ რიცხოვანობისა თანასწორი ხმა ეძლევა და თანასწორი წარმომადგენლობა ჰყავს. ასევეა ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატებში),

მაშინ ორი მთავარი ეროვნება, რომელიც სახელმწიფოს მცხოვრებთა $^3/_4$ შეადგენს, მცირე ეროვნებათაგან იქნება დამოკიდებული და დამცირებული. ამ დაბრკოლების გადალახვა არ შეიძლება არც ერთ პალატიან და არც ორ პალატიან სისტემის შემოღებით. მე ანგარიშს ვუწევ კოკოშკინის მოსაზრებას, მაგრამ არ შემიძლია დავეთანხმო იმ აზრს, თითქოს რუსეთში ყოვლად შეუძლებელი იყოს ფედერატიულ რესპუბლიკის დამყარება იმ დროსაც კი, თუ ეს რესპუბლიკა ეროვნულ საფუძვლებზე არ იქნება დაყრდნობილი.

ფედერაცია, ავტონომია, როგორც კოკოშკინი ხსნის, ფართე თვითმართველობაა. ეს ერთი და იგივე ახსნაა ერთი და იგივე აზრისა, ე. ი. ჩვენ რომ ვსთქვათ, რომ საკუთარ თვითმართველობის დროს ხალხი უკეთ მოიწყობს საქმესო. სხვა და სხვა სარწმუნოების, ეროვნების და ზნე-ჩვეულების ხალხს აქვს თავის მისწრაფება. იგი მოითხოვს კანონმდებლობის დეცენტრალიზაციას, საკუთარ თვითმართველობას, რაც დიდ უხერხულობას ბადებს, მაგრამ ყველა ეს გადალახულ იქნება თუ კი ხსენებული მოთხოვნილებები სამართლიან დაკმაყოფილებას მიიღებენ. ვიდრე დავიწყებდეთ ლაპარაკს, იმის შესახებ, თუ როგორი წესწყობილება არის სასურველი და შესაძლო რუსეთისთვის არსებულ ისტორიულ მომენტში, უნდა ავღნიშნოთ, თუ რა ფუნქციები უნდა იქმნეს სახელმწიფოს ხელში, იმ მომენტისთვის, თუ მაგ. განხორციელდა ფედერატიული რესპუბლიკა. ფედერატიულ სახელმწიფოში, რომელიც ემყარება საერთო საფუძველს, სავალდებულოა შემდეგი ფორმები: თანასწორობა მოქალაქობრივის და პოლიტიკურის უფლებისა, თავისუფლება სინიდისისა, სიტყვისა და სხვა... სახელმწიფოს კომპეტენციაში უნდა იყვეს საერთაშორისო წარმომადგენლობა და აქიდან გამომდინარე ყველა საერთაშორისო ხელშეკრულობა და სავალდებულო დადგენილება; ტამოჟნა, ფული მთელ სახელმწიფოში ერთი უნდა იყოს: სამხედრო ძალა, ფოსტა, ტელეგრაფი, რკინის გზები (ზოგ. მაინც), საიმპერიო ფინანსები უმაღლესი სასამართლო ცენტრალ მთავრობის ხელში უნდა იყოს. ეს მინიმუმია, ფედერატიულ რესპუბლიკას კიდევ აქვს სხვა საინტერესო დებულებებიც, რომლიდანაც არაფრის გამოკლება არ შეიძლება. ჩვენს დროში ხალხის ცხოვრება უკიდურესად გართულებულია და აჭრელებული.

ფედერალისტულ რესპუბლიკის უკეთესი გამომხატველი დედამიწის ზურგზე ამერიკაა. 104 წლის განმავლობაში ამერიკამ (1784 წ.) ყველა შტატს მიანიჭა ფართე შინაური თვითმართველობა; ყოველ შტატს აქვს საკუთარი კოდექსი სამოქალაქო და სისხლის სამართლის შვეიცარიაში 1874 წ. სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოცემის უფლება გადავიდა კავშირის ხელში. კანტონებს შერჩათ მხოლოთ სასამართლოს ორგანიზაციის და ადმინისტრაციის მოწყობა. ყურადღებას იქცევს ყველაზე ახალი ბრაზილიის ფედერატიული კონსტიტუცია, რომელსაც განსაკუთრებული ცენტრალი უფლებები შერჩა კანონმდებლობისა, სავაჭრო ხელშეკრულებისა და სასამართლოსი.

დასასრული იქნება.

## ო მ ი.

ვერ გამოირკვა კაცობრიობა, მიუახლოვდა მსოფლიო უბედურების დასასრულს, თუ კიდევ უნდა ვიქნეთ ძლიერ სისხლის ღვრის მოწამენი

საერთო ძალთა განწყობილება იმის მაჩვენებელია, რომ რომელიმე ასპარეზზე უნდა მოხდეს დიდი და გადამწყვეტი შეტაკება.

გერმანელები „ისევ მალულ ტაქტიკით" მოქმედებენ და მოწინააღმდეგეს გარკვეული წარმოდგენის საშუალებას არ აძლევენ. იმ დროს, როდესაც ძლიერ შემოტევას რუსეთის ასპარეზზე ელოდენ, ჰინდენბურგმა მოულოდნელად ჯარი დასავლეთის ასპარეზზე ინგლისელებს და ფრანგებს მიუსია. გერმანეთის სამთავარსარდლო მძაფრ ბრძოლებს განაგრძობს ხსენებულ ბრძოლის პირით.

მიზანი რა არის, არავინ იცის. კერძო მოსაზრებათა მიხედვით გერმანელები ცდილობენ ინგლის ფრანგების ჯარის დასუსტებას მანამდის, სანამ აღმოსავლეთის (რუსეთის) ასპარეზით ამისთვის ხელსაყრელი პირობებია. თუ რუსის ჯარმა დარღვეული წესრიგი აღადგინა და აქტიურ გზას დაადგა, ამ შემთხვევისთვის ვილჰელმს დასავლეთის ასპარეზზე საქმე მოთავებული ექნება და ადვილათ შესძლებს პასუხი გასცეს აღმოსავლეთის ფრონტს

კავკასიის ასპარეზზე მდგომარეობამ ნერვიული ხასიათი მიიღო.

მოწინააღმდეგე ერიდება, რომელიმე არჩეულ გზაზე დადგომას და დღემდის მხოლოთ პარტიზანულ ომს აწარმოებს.

როგორც ზემოთ ვსთქვით, მსოფლიო კატასტროფის ლიკვიდაციის გარკვეული ნიშნები ჯერ კიდევ არსად სჩანს.

დღეს დღეობით ისევ ბრძოლის ველის ამბებს უნდა შევყუროთ.

საერთაშორისო დემოკრატიას დიდი იმედი აქვს სტოკჰოლმის კონფერენციისა, რომელიც ომის და ზავის შესახებ თავის ძლიერ სიტყვას იტყვის. ვნახოთ რა ნაყოფს მოუტანს 3 წლის განმავლობაში სისხლში მობანავე კაცობრიობას სტოკჰოლმის კონფერენცია.

ჯიბ.

## რევოლუციი ამბები.

კერენსკის ბრძანება.

**პეტროგრადი.** ივნისის 6 სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ ბრძანება გამოსცა სამხედრო უწყებებისადმი, დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ის თეთრ ბილეთიანი ჯარის კაცები, რომელნიც ხელმეორედ შემოწმების დროს სავარგისი აღმოჩნდენ სამხედრო სამსახურისათვის. თუ ხსენებულნი პირნი არ გამოცხადდებიან 5 ივნისამდის ჩაითვლებიან დეზერტირებად.

პროცენტებს მომატება

**პეტროგრადი.** ივნისის 6. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულმა თათბირმა საჭიროდ დაინახა გაადიდონ პროცენტები, რომელიც დამატებით ეძლევათ შინაგან საქმეთა სამინისტროს მდაბალ მოსამსახურეებს.

შრომის ჯგუფის ყრილობა

**პეტროგრადი.** ივნისის 6. ივნისის 19 პეტროგრადში გაიხსნება შრომის ჯგუფის მე-6-ე ყრილობა. მოწვეულნი არიან ყველა ადგილობრივ განყოფილებათა დელეგატები.

პროექტის მოწონება

**პეტროგრადი.** ივნისის 6. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულმა კომისიამ მოიწონა პროექტი საერობო დაწესებულებათა გახსნის შესახებ აკმოლინის სემიპალატინსკის, სემირეჩინსკის, ტურგაის და ურალის ოლქებში.

## რ უ ს ე თ ი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტის პროექტის შემუშავება.

**პეტროგრადი.** 6 ივნისი. განათლების სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი ქალთა პედაგოგიურ ინსტიტუტის დაარსების შესახებ, ისტორიულ-ფილოლოგიურ და ფიზიკურ-მათემატიკურ განყოფილებებით. ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილება უნდა გაიხსნას მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისში.

ამერიკის საელჩო.

**პეტროგრადი.** 6 ივნისი. ამერიკის საელჩოს მეთაურმა ინახულა თ-დი კრაპოტკინი. დანარჩენებმა დაათვალიერეს სამხედრო ქარხანა.

ძარცვა-გლეჯა.

**სამარა.** 6 ივნისი. გაძარცვეს საკათედრო ტაძარი. მილიციამ შეიპყრო ერთი მძარცველთაგანი, რომელსაც საეკლესიო ნივთები აღმოაჩნდა.

მიწის გარშემო.

**სამარა.** 6 ივნისი. მიწის კითხვის გარშემო ხდება უწესოება არა მარტო გლეხთა და მემამულეთა შორის, არამედ მეზობელ სოფელთა შორისაც სათემო მიწების გამო. აღმასრულებელი კომიტეტი და გლეხთა საბჭო შეუდგა მათს შორის უთანხმოების მოსპობას.

ხიდის დამთავრება.

**დონის როსტოვი.** აპრილის წყალდიდობით დანგრეული ხიდის ხელახლად გაკეთება დამთავრდა. ამ დღეებში განახლდება მატარებლით მიმოსვლა.

ჯარისთვის პურის მიწოდება.

**მინსკი.** 7 ივნისის, მრავალი საოლქოდა საგუბერნიო საბჭოებმა იქონიეს მსჯელობა ჯარის სურსათის მხრივ აუტანელი მდგომარეობა და გადასწყვიტეს მთელის ძალღონით შეეცადონ რაც შეიძლება მეტი პური მიაწოდონ ჯარს უსასყიდლოთ. ვისაც პური არ მოეპოვება იხდის ფულს.

საგუბერნიო კომიტეტის თათბირი.

**ყაზანი.** ივნისის 8. დასამყარებლად ზომების მიღების შესახებ მოწვეული იქნება საგუბერნიო კომიტეტის თათბირი.

## უ ც ხ ო ე თ ი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**ტოკიო.** ივნისის 6. დროებითი მთავრობის მიერ შეერთებულ შტატებში გაგზავნილი ელჩები გემით ნიუ-იორკში უკვე მივიდენ.

კაბინეტის გარდაქმნა.

**სტოკჰოლმი.** ივნისის 6. გაზეთების ცნობით ავსტრიის იმპერატორმა კაბინეტის გარდაქმნა მიანდო კლამ-მარტინეცს. კლამ მარტინეცი შეუდგა სხვადასხვა პარტიებთან მოლაპარაკებას.

ქალთა სწორუფლებიანობა არჩევნებში.

**ლონდონი.** ივნისის 6. პალატამ 385 ხმით 55 წინააღმდეგ აღიარა ქალთა სწორუფლიანობის პრინციპი არჩევნებში.

რობერტ გრიმმი სტოკჰოლმში.

**სტოკჰოლმი.** ივნისის 7. გუშინ სტოკჰოლმში მივიდა რობერტ-გრიმი. თათბირი იქონია ციმმერვალდის მიმართულების წარმომადგენლებთან, რობერტ-გრიმმა აღუთქვა ჟურნალისტებს, რომ დაწვრილებით აღწერეს და გადასცემს მათ ყველაფერს, თუ რა ხდება პეტროგრადში.

მანიფესტაცია

**სოლუნი.** ივნისის 6 გაიმართა სადღესასწაულო მანიფესტაცია მეფე კონსტანტინეს ტახტიდან გადადგომის გამო.

---

## ქართველები სპარსეთში.*)

(გაგრძელება)

წინეთ უკვე აწერილი გვაქვს მიზეზები ქართველების გადმოსახლებისა სპარსეთში უცბათ ადვილი არ იყო გაგვეგო დაწვრილებით აღგვეწერა ის ადგილები, რომლებიც უჭირავთ ჩვენ მოძმე გამამადიანებულ სპარსელებსო. გადმოსახლების დროს სპარსელები ცდილობენ დატყვევებული ქართველები დაესახლებიათ ისეთ ალაგას, სადაც მათ ვერ მიუდგებოდენ სამშობლოში დარჩენილი მონათესავენი. ეს ყოფილა მიზეზი, რომ ჩვენ, ქართველებმა, არაფერი ვიცოდით სპარსეთში გადასახლებულ ქართველების შესახებ, მათზე არაფერი შეგვეძლო. გვცოდნოდა გარდა იმა მოკლე ცნობისა, რასაც მოგვითხრობს მათზე ქართული მატიანე; მაგრამ ამის საშვალებით მარტო ვიცოდით იმ თვალსაჩინო გადასახლების შესახებ, რომელიც მოხდა შაჰ-ამაზის დროს. როგორც წინეთ ვსწერდით, ბევრგვარი შემთხვევით გადასახლებულან სპარსეთში ჩვენი მოძმე ქართველები და მათი ვინაობა, მდგომარეობა საუკუნოებს დაუფარავს ჩვენგან, თუმცა მათში სრულიად კიდევ არ გამქრალა სიყვარული სამშობლოსადმი, ზნეჩვეულება და ქართველი კეთილშობილური ხასიათი. ასეთ ტრადიციულ ბუნებრივ ღირსებას საწაულებრივ დაუცავს მათში სამშობლო ენა: გული აგიჩვილდება, ტირილი მოგერევა და ტანში ციებასავით ჟრუანტელი გაგივლის, როდესაც ელაპარაკები სრულიად გარეგნული შეხედულობით სპარსელის მგზავს შენს მოძმეს. თავდაპირველად ტანისამოსი მისი გიჩვენებს მას ნამდვილ სპარსელ ადამიანად, მარა, როცა შენს სამშობლო ენაზე დაგიწყებს ლაპარაკს, თვალისწინ წარმოგიდგება სულ სხვა სურათი: შენი მოძმე ქართველი ნამდვილი ქართული სახით და ენით, მხოლოდ განსხვავებული ტანისამოსით და ცოტა გადასხვაფერებული ენის კილოით. ასეთი ტიპი იყო ის ფაგანელი ქართველი გუსეინ-ბადრი ხატიაშვილი, ბიძაშვილი ნასროლა ხატიაშვილისა. გუსეინ-ბადრის შევხვდი მე 18 აპრილს მიტინგის დროს, მან მონაწილეობა მიიღო ჩვენსმიტინგში. 19 აპრ. გუსეინი იყო ჩემთან და ბევრი საინტერესო ამბავი მომიყვა ქართველების შესახებ სპარსეთში; ის მოდის საქართველოში: ხვალ 20 აპრილს ყაზვინიდგან ანტონ ტურაშვილი გუსეინს-წამოიყვანს ბაქოსაკენ და მალე ჩამოვლენ თფილისში. გუსეინ-ბადრის ნაამბობით შევასწორე ჩემი დღიური, რომლის შინაარსს ვათავსებ ამავე წერილში.

სოფელი კუინი*) არის ახლო „ზიზამ-აბადისა", ეს არის მეფურგუნეების სტანცია. ამას იქით არის სოფელი ბოიზესქი და ბაქენი; აქაც არიან ქართველები, მაგრამ ქართული ენა არ იციან, არეულ-დარეულად ლაპარაკობენ, ძლიერ სტუმარ მოყვარედ ეპყრობიან ქართველებს და სულ ტირილით მოიგონებენ ძველ სამშობლოს; ქართველს რომ დაინახავენ, სულ არ უნდათ მოსცილდენ.

ქართველი სოფელი აბას-აბადი, რომელშიაც ცხოვრობენ შაჰაბაზისაგან გადმოსახლებული ქართველები. ეს სოფელი თურქესტანისაკენ მიმავალ გზაზეა თურქესტანის ახლოს. შაჰაბაზს ძლიერ ეშინოდა თურთქმენების და მათ სიახლოვეს განგებ დაასახლა გამბედავ და გმირულად მეომარი ქართველები, რომლებმაც უცბად ალაგმეს თურქმენების თავგასულობა. ისინი ქართველებს ისე გაბედულად ვერ ეცემოდენ, როგორც სპარსელებს. ამ ქართველების წყალობით შაჰ-აბაზმა კარგა დაიცო თურქესტანის მხრით თავისი ტერიტორია. აქ ქართველები სამას კომლამდე იქნება და ლაპარაკობენ ქართულად, ცოტა ისფაგანელ და ფერეიდნელ ქართველებზე უფრო სუსტად, აქედგანაც გამოდიან ძლიერ თვალსაჩინო ვაჟკაცები.

ზემო მოხსენებული გზა მიდის ასხაბადამდის და გაივლის ხორასანში, ამისათვის ჰქვია ხორასანის გზა.

თეირანიდგან მიხვალთ „შარიფამად"-ში. „ეინ-ვანაქებ"-ში, „ყიშლან„-ში „დეირნემექ"-ში, აბდულ-აბადში და აქედგან გადახვალთ კერდში, ელასკერდში და ზედ მოდებულ სოფლებში, სომოხა"-ში, „სიმნა"-ში არიან ნახევარზე მეტი ქართველები, ენა აქვთ არეული სპარსულ-ქართული. ამ ენაზე უფრო ლაპარაკობენ „სიმნა"-ში მცხოვრები ქართველები, ამათი ლაპარაკი არ გავს არც ქართულს და არც სპარსულს; სპარსელი და ქართველი იმათ ენას ვერ გებულობს. ამბობენ შაჰაბაზს ეს ქართველები ჰყოლია წამოყვანილი აფხაზეთიდგან, ამას ამტკიცებს სერგო წერეთელიც, რომელიც 24 წელიწადია საჩხერიდგან გადმოსახლებულა სპარსეთში სასჯელის ასაცილებლად, კარგა შეუსწავლია სპარსეთის ეტნოგრაფია, გეოგრაფია და ძველი ისტორიაც. ინჟინერი სოკოლსკი და სერგო წერეთელი ქართველ სოფელში აბას-აბადში მოვიდენ 1904 1905 წლეებში. „მე და სოკოლსკი მოვედით აბას აბადში საღამოს ჟამს, მე ჯორზე ხურჯუნით მეკიდა სპარსული 3000 მ. ინჟინერის პორტფელი და გზის პლანები, თოფის პატრონები ნაბადი და რაოდენიმე სამგზავრო საცვლები და ტანისამოსი. ხალხი ბლომად მოგროვდა და ღამე ყველა ეს ხაბაკი ჯორით მოგპარეს. როცა ამაზე შევატყობინე სოკოლსკის, მან მიპასუხა: „არამც და არამც არავის არ წაეჩხუბო, ნუ დაეძებ ნურც ფულს და ნურც ჯორსა და ხაბაკს, იქნება როგორმე თავი დავაღწიოთო" „მე ხმა არ ამომიღია; ჩალვადარი სპარსელი ძლიერ სწუხდა ჩვენს გაძარცვაზე. მე ჩალვადარს უთხარი:" „ქართველი კაცი ვარ და არაფერი დამეკარგება". სერგო ამ სიტყვებით მარტო გულს იჯერებდა, თორემ ყოველივეს დაკარგულად სთვლიდა და ჩაიზე მოიწვიეს აქაური ხევის თავები „ახსაკალი" ანუ „რიშისიჰფიდ"-(უფროსი მოხუცთაგანი) და მამასახლისი (ქედი ხუდა). რომ გაიგეს სერგოს ვინაობა და ქვეყანა, შემოეხვიენ, მოიყვანეს ერთი მოხუცებული 99 წლის ქალი, ჯანმრთელი და სალი სახის და ამასთან 95 წლ. მოხუცი კაცი, სახელად „მეშედი-ყულამმირზა", ქალს სახელად ერქვა „ხათუნი". ამ ორმა მოხუცმა კარგა, კილოს გამოუცვლელად იცოდნენ ქართული ენა როცა ნამდვილ დარწმუნდენ ჩემს ვინაობაზე, სთქვა სერგომ შემომეხვიენ კაცი, ქალი, დიდი და პატარა; ქალებმა პირი აიხადეს; სიხალისეს საზღვარი აღარ ქონდა. ხათუნას გულზე ეკიდა ქართული თეთრი ფული ზედ წაწერით ქართულად, მეორე კედვრით ფულს ეწერა „ახტალა". ამ ჩვენს საერთო ლაპარაკში და სიხალისეში მოიტანეს ფულები, ხაბაკი და ჯორი, რომელიც ჩემდა, შეუმჩნევად თავის ძველ ალაგას დაედოთ". სოკოლსკის ძლიერ გაკვირებოდა ეს უცბად შეცვლილი ყოფაქცევა და მოპყრობა, ჭკუაზე კინაღამ შეშლილიყო, სანემ წერეთელი მოუყვებოდა გარემოებას ათი დღე აღარ გამოეშვათ წერეთელი და მასთან სოკოლსკიც. სათითეულოდ პატიჟობდენ, საუცხოვოდ უმასპიძლდებოდენ, ველარ აუვიდენ რიგ-რიგობით დაპატივებას. წერეთლის დარჩენა მოენდომებიათ, მაგრამ რომ არ მოხერხდა, გულდაწყვეტილი დამშვიდობებული გამოისტუმრეს. არავითარი სასყიდელი პატივსცე-

*) იხილეთ გაზ. „სამშობლო" № 564 4 მარტი 1917 წ.

*) ეს სოფელი ყაზვინიდგან ენიზელისაკენ არის 33 ვერსის მანძილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოფმანის გადადგომა.

**ბერლინი.** ივნისის 6. გოფმანი თანამდებობიდან გადადგა მიზეზი გადადგომისა არის მისი მოქმედების გამოქვეყნება პეტროგრადში, ცენტრალ სახელმწიფოთა ზავის პირობების შესახებ, რასაც შეუძლია ზიანი მოუტანოს შვეიცარიას. ფედერალურმა საბჭომ მწუხარება გამოსთქვა გადადგომის შესახებ და სთხოვეს გამოსთქვას სურვილი, რომ ემსახუროს სახელმწიფოს ინტერესებს. ეროვნულმა საბჭომ მოიწონა ფედერალური საბჭოს განცხადება.

გემის დაღუპვა.

**პარიზი.** ივნისის 6. გემი ანკური, რომელიც ნაღმს წააწყდა დაიძირა. მოკლულია 7 კაცი.

მილოცვა.

**ლეგერანი.** ივნისის 5. დიპლომატიურმა კორპუსმა მიულოცა შახს დაბადების დღე და ამცნო ამნისტია სპარსელთა შესახებ, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდენ რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგ გამოსვლებში.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

**დეპეშები.**

აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივნისის 7. აღმოსავლეთისა, რუმინეთისა და კავკასიის ასპარეზებზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

ბალკანეთზე.

**სოლუნი.** ივნისის 7. ოფიციალი. მდ. სტრიპის აღმოსავლეთით ჩვენ უკან დავიხიეთ. ჩვენმა რაზმებმა გასწმინდეს მტრისაგან გომოსი, ენიკი, ჩუჩალიკი და ელიზან ხაზნატი.

მფრინავთა მოქმედება.

**სოლუნი.** ივნისის 7 ოფიციალი. სერესის აღმოსავლეთით ჩვენი მფრინავები უშენდენ პორნასა და ტუმბას სადგურს.

**ლონდონი.** ივნისის 7. ჩვენმა მფრინავებმა მტრის სამხედრო საწყობებში მოახდინეს აფეთქება. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოვაგდეთ გერმანელების 6 აეროპლანი. ბრიტანეთის 3 აპარატი აღარ დაბრუნებულა.

## ახალი ამბავი

✦ მილიციის დაფიცება. დღეს მოხდება ქუთაისის ახალ მილიციის დაფიცება, რის შემდგომაც ის მოვალეობის შესრულებას შეუდგება.

✦ მინისტრ პეშეხონოვიდგან. სასურსათო საქმეთა მინისტრი პეშეხონოვი ქუთაისის ადმ. კომიტეტს ატყობინებს რომ სურსათის სამინისტრომ თავს იდო მცხოვრებთ მიაწოდოს შემდეგი საჭირო საგნები ქსოვილეობა, რკინეულება, ნავთი და აგრეთვე ყველა პირველ საჭიროების საგნები. სურსათის სამინისტრო სთხოვს ქუთ. ადმ. კომიტეტს შეატყობინოს, რომელი საგანი და რამდენი ესაჭიროება ქუთაისის მცხოვრებთ.

✦ კრება 18 ივნისს ქუთაისის გუბერნ. ექიმთა სამმართველოში დანიშნულია ქუთაისის ბებია ქალების და ფერშლების კრება.

✦ „ბეჭვდითი დღე". ამ მოკლე ხანში ქუთაისში არსებული ბეჭვდითი საქმის პროფესიული კავშირის გამგეობა გამართავს თავის დღეს, ბეჭვდითი ბიუროს გამგეობამ თხოვნით მიმართა ადგილობრივ ქართულ და რუსულ გამოცემებს, რომ ხსენებულ დღისთვის დაუთმონ მას თავისი გამოცემების საორშაბათო ნომერი. ამ ნომერში მოთავსდება წერილები და ცნობები ბეჭვდითი საქმის განვითარებისა და მნიშვნელობის შესახებ.

✦ დანიშვნა. ფოთის ფოსტა ტელეგრაფის კომისარად დაინიშნა სტუდენტი ბ. ჩოჩია.

✦ ჟანდარმთა მმართველობის ქონება. ჟანდარმთა მმართველობის სალიკვიდაციო კომისარს პოლკოვნიკი ბანევსკი ატყობინებს, რომ მას დრ. მთავრობისგან მინდობილი აქვს ჟანდართა მმართველობის ქონების ჩაბარება და სთხოვს დროს დანიშვნას ქონების ჩასაბარებლათ.

✦ სამოსწავლო საქმე. სამოსწავლო საქმის კომისარი ბ. ს. როპაქიძე ქუთ. აღმასრულებელ კომიტეტს ატყობინებს: დ. ხონის ქალთა მარინეს სასწავლებლის ზედამხედველი ქალი კალინინისა მცოვრებთა თხოვნით გადაყენებულ იქმნა, რისთვისაც საჭიროა ქუთ. ადმ. კომიტეტის დასტური.

✦ **ფულის შეკრება.** გუშინ ქუთაისში გაიმართა ყულაბებით ფულის შეგროვება დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწ. კავშირის სასარგებლოთ.

✦ **წარმომადგენლების სასურს. კომიტეტში.** სასურსათო მინისტრის ამხანაგი ატყობინებს ქუთ. სასურსათო მმართველობას, რომ სასურსათო კომიტეტში უნდა შევიდენ მუშათა ჯარისკაცთა საბჭოს და გლეხთა წარმომადგენლები.

✦ ბინის გამოცვლა. ქალაქის სასურსათო კომიტეტი გადავიდა ახალ ბინაზე, ვაჟთა გიმნაზიის შენობაში.

✦ იარაღის ტარების აკრძალვა. კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა აუკრძალა კერძო პირთა იარაღის ტარება. იარაღის ტარება იკრძალება აგრეთვე რკინის გზის სადგურებზე.

✦ ჩხუბი. ქუთაისში მეტად გახშირდა ღამღამობით მთვრალები ქუჩაში ახდენენ დიდ აურზაურს და არღვევენ საზოგადო წესრიგს.

✦ უსუფთაობა. ს. ბაქრაძე ადმ. კომიტეტში აცხადებს, რომ წყლის გაღმა მხარე მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. მცხოვრებნი ნაგავს ქუჩაში ყრიან. არ არსებობს განათლება.

✦ დეზერტირების შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრი კავკასიაში სამინისტროს რწმუნებულის კომისარ ა. ჩხენკელს ატყობინებს, რომ დეზერტირების გამოცხადების ვადა უკვე გავიდა. დროს გაგრძელება შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეუძლებლათ დაინახა, რადგან ამას ჯარში დემორალიზაცია შეაქვს. დღეიდან დეზერტირობის სალიკვიდაციოთ სასტიკი ზომები უნდა იქმნეს მიღებული. მთავრობას დეზერტირებთან ბრძოლაში. უნდა დაეხმაროს მოქალაქენი და საზოგადო დაწესებულებანი.

✦ რკინის გზის ქრონიკა. სამგზავრო საბაგაჟო და საქონლის მატარებლის ტარიფის მომატემა 10 ივნისიდან რკინის გზაზე სამგზავრო და ბარგის წასაღებ ფასს ემატება 50 პროც., განსაკუთრებულ ვაგონებით ბარგის გადასაზიდ ფასს ემატება 200 პროც. თვიური სამგზავრო ბილეთები არგაიყიდება. სამხედრო პირთათვის ყოველ სამგზავრო კლასში ემატება 50 კაპ—70 კაპ.

✦ მიმოსვლის აღდგენა. მარტის ბოლო რიცხვებიდან დღემდის მდ. დონი ადიდებული იყო რომელმაც გააფუჭა ქ. დონი, -როსტოვთან რკინის გზის ლიანდადიგის რისგამოც მატარებლის პირდაპირი მიმოსვლა (მოსკოვსა და პეტროგრადთან) შეწყვეტილი იყო და წესიერად ვერ მიდიოდა. ახლა, როგორც სააგენტო დეპეში იუწყება დონის როსტოვში გაფუჭებული ლიანდაგი აღუდგენიათ და მიმოსვლაც განახლდა.

✦ კონფერენცია. 11 ივნისს თბილისში გაიხსნება ამიერ კავკასიის სოც. დემ. მუშათა პარტიის კონფერენცია.

**პროვინცია.**

— ფოთი. მე 221 ქვეითი სათადარიგო პოლკის ჯარის კაცმა სიდორენკომ 1 ივნისს თავი მოიკლა. მიზეზი ის იყო რომ სიდორენკოს დააბრალეს პოლკის ცეიპკაუზის გაქურდვა.

— ოზურგეთი. ადგილობრივ ბაზარზე სიმინდი ძალზე გაძვირდა. ფუთი 5 მან. ღირს.

ამიერ კავკასიის განს. კომიტეტმა ოზურგეთის ადმ. კომიტეტს მოსთხოვა, ვამოუგზანოს მას ყველასი გამომძიებელი საბუთები გრ. ჯაყელის დ. მღვდლის დუმბაძის საქმეთა შესახებ.

**კავკასიის ქრონიკა.**

✦ ამას წინათ დაარსდა ამიერ კავკასიის მეღვინეთა და მევენახეთა ახალი საბჭო. საბჭოს 8 ივნისს ქ. თბილისში პირველი კრება ჰქონდა ახლობელ სამოქმედო გეგმის შესადგენათ.

## სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობა.

(შემდეგი)

**ლუნაჩარსკი** სახელმწიფო საბჭოს გაუქმებას და პარლამენტის არჩევას მოითხოვს, მისი აზრით პარლამენტი ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოთაგან ას ასი წევრით უნდა შეივსოს.

**სკობელევი** ირონიით იხსენიებს სოციალიზმს და ლენინის და ლუნაჩარსკის მარქსიზმს. ის ეკითხება რითი უნდა შევცვალოთ დატყვევებული კაპიტალიზმი როდესაც ჯერ სოციალიზმი არ სუფევსო იგი ადგენს დროებით მთავრობის საფინანსო-საეკონომიო პროგრამას. ამით სხდომა თავდება.

თიბათვის 3-ს სხდომაზე მარტოვმა გრიმმის გაძევების შესახებ სთქვა: „რუსეთის რევოლუციონური დემოკრატია ამ ყრილობით პირველად წარსდგება ქვეყნის წინაშე, როგორც ერთი რამ მთლიანი ძალა. და სწორედ ეხლა გაისმის ევროპაში ხმა, რომ რუსეთის რევოლუციამ გააძევა მშვიდობიანობისითვის ენერგიანი მებრძოლი და ევროპის ერთი ინტერნაციონასისტთაგანი. მშრომელი მასსა, რომელიც მილოცვით შეეგება საერთაშორისო მოწოდებას, იტყვის: „მათ არ იციან რასა იქმნიან". როდესაც გრიმმა რევოლუციის პირველ გამოძახილთან ერთად მოისურვა რუსეთს დაბრუნება, მილიუკოვმა განაცხადა, რომ გრიმმის რუსეთში შემოშვება არ შემიძლიანო, რადგან, მილიუკოვის განცხადებით, გრიმმი გერმანელების აგენტი იყო. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მეტად აღშფოთდა ამით, მაგრამ რას გააწყობდა მილიუკოვის გადადგომის შემდეგ ჰელსინგფორსის დეპუტატთა საბჭომ ნება დართო გრიმს რუსეთში დაბრუნებისა. ეხლა დროებით მთავრობამ გრიმმის მოქმედება უარყოფითად იცნო და იგი გააძევა. ალბად დროებით მთავრობას გაგებული არ ჰქონდა, რომ მუშათა კლასების ყველა კონგრესებზე ერთხმად მოთხოვნილი იყო იმ დებულების გაუქმება, რომლის ძალითაც უცხოელებს მხოლოდ გადასახლებით უმასპინძლდებიან ისეთ შემთხვევებში როდესაც თავიანთ მოქალაქეთ მხოლოდ სამსჯავროს გადასცემენ მარტოვი იმ აზრისაა, რომ მინისტრ სოციალისტებმა მხოლოდ იმიტომ გააძევეს გრიმმი, რომ მისი ჩვენებები არა დამაკმაყოფილებლად იცნეს. მარტოვი გარკვევით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ დროებით მთავრობის შეკითხვაზე, თუ რას ჰფიქრობენ გრიმმის შესახებ, მე და აქსელროდი კატეგორიულად მოვითხოვდით გრიმმის ჩვენება სრულიად დამაკმაყოფილებლად მიიჩნიოთ. მინისტრ-სოციალისტებმაო, ამბობს დასასრულ მარტოვი, არ მიმართეს არც თავიანთ პარტიას, არც აღმასრულებელ კომიტეტს და ისე მხოლოდ მარტო თითონ გადასწყვიტეს გრიმმის გაძევება".

მინისტრი წერეთელი აღნიშნავს რა ფაქტიურ მხარეს ამბობს, რომ გრიმმი რუსეთის საზღვრებში შემოუშვა ერთის მხრივ რევოლუციურმა დემოკრატიამ და მეორე მხრივ წერეთლისა და სკობელევის პირადმა პასუხისმგებლობამ. ჩვენ ვამბობდით,—სთქვა წერეთელმა, რომ შვეიცარიის დემოკრატიის ბელადს,—რომელმაც იმპერიალიზმის წინააღმდეგი დროშა ააფრიალა და რომელიც ებრძოდა აგრეთვე თავის მთავრობას,—ნება ჰქონდა რუსეთის რევოლუციის ტერიტორიაში ფეხი შემოადგა. იმ დროს, როდესაც იმპერიალიზმის წინააღმდეგი ბრძოლა რუსეთის რევოლუციის ქვა კუთხედად იქცა. თავის აქ ყოფნაში გრიმმი თავისუფლად ჰქადაგებდა იდეებს რომ ღებიც ღრმადა სწამდა ჩვენ გვრწამს, რომრუსეთის რევოლუციის საზღვრებში ყველას უფლება აქვს თავის აზრთა გამოთქმისა. ჩვენ კარგად გვახსოვდა კონგრესების ის დადგენილება; რომლის შესახებაც მარტოვი ჰლაპარაკობდა, და არა მარტო გვახსოვდა, არამედ მის განხორციელებასაცა ვცდილობდით. ამ ერთი კვირის წინ, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი შეგვეკითხა) კიდევ პასუხისმგებლობთ გრიმის საქმეში თუ არაო ჩვენ თანხმობა გამოვაცხადეთ. მაშინ მინისტრმა დღეს გამოქვეყნებული დოკუმენტი გვიჩვენა. ამ დოკუმენტით გრიმმის დანაშაული რომ მტკიცდებოს, მაშინ ჩვენ საქმეს გრიმის შეუკითხავად გადავწყვეტდით, მაგრამ ამ დოკუმენტში გრიმის დანაშაულის დამტკიცება არა ყოფილა და ჩვენ გადავწყვიტეთ [illegible] გვქონია ამ დოკუმენტის გამოქვეყნება. ჩვენ მარტოვის პირით ვაცნობეთ გრიმმს: ხმები დადის, თქვენს და გერმანეთის მთავრობის [illegible] დადება მივეცით, გამოეცხადებინა, რომ პროვოკაციათა სთვლის, როდესაც მეომარი სახელმწიფო საზავო კონფერენციას თავის იმპერიალისტურ მიზანთა მისაღწევ სარბიელადა ჰხდის, და აგრეთვე თვითონ გამოექვეყნებინა ცდა გერმანეთის დესპანისა შვეიცარიაში,

გრიმის პასუხი ამ თხოვნაზე ისეთი არა დამაკმაყოფილებელი იყო, რომ ჩვენ საჭიროდ ვსცანით დოკუმენტის წარმოდგენა. ჩვენ ვამბობდით— განაგრძობს წერეთელი, რომ გერმანეთის და შვეიცარიის სახელმწიფონი ჰფიქრობდენ მოტყუებას, მაშინ ვუწოდოთ თუ არა ამას პროვოკაცია. გრიმიც ხომ ხელს უწყობდა ამ პროვოკაციის გავრცელებას. იმიტომ ისიც, პროვოკაციის თანამგრძნობელია (ტაში). შემდეგ წერეთელი პუნქტებით არჩევს გრიმის განმარტებას და მესამე პუნქტის განმარტებას ყველა უფრო არა დასაკმაყოფილებლად სცნობს. ამ პუნქტში ლაპარაკი არის გერმანეთის ელჩის ნახვის შესახებ. წერეთელი ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ ვინც სოციალისტებს იმპერიალისტებად ნათლავს. თუ გომინმა დოკუმენტები გრიმს გადასცა, მხოლოდ იმიტომ, რომ უნდოდა ის გერმანეთის მთავრობის ხელში სათამაშო ნივთად გამხდარიყო. რუსეთის რევოლიუცია ვერ შეეგება იმ მოვლენას, რომ ჩვენ ქვეყანაში იყოს ადამიანი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ აგენტ პროვოკატორის როლს ასრულებს. აი, ამ მოსაზრებით ჩვენ ვსცანით გრიმის განმარტება არა-დამაკმაყოფილებლად,

## ეროვნული კითხვა.

პ. დ. ს.

**დეპეშები.**

**რიგა.** ივნისის 6. ლატიშების ყრილობაზე იურიევში ბოლშევიკები დამარცხდენ. ყრილობაზე გამოიტანეს რეზოლუცია: ომი მიიყვანონ სრულს გამარჯვებამდის. კურლანდია უნდა დასტოვოს მტერმა. ზავი უნდა მოხდეს უანექსიოთა და უკონტრიბუციოთ. მხოლოდ გერმანელები ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ზარალი იმ ოლქებისა, რომელნიც ფრიად დაზარალებულნი არიან.

უკრაინის სამხედრო ყრილობის დადგენილება.

**კიევი.** ივნისის 8. უკრაინის სამხედრო ყრილობამ დაადგინა: უკანონობად ჩასთვალონ სამხედრო მინისტრის მოქმედება, რომელმაც არ დართო მათ ნება სამხედრო ყრილობის მოსაწვევად. დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება უნდა აუცილებელი იქნას. შემდეგი სხდომები დახურული იყო. სამხედრო საოლქო ჯარების კომანდირმა ბრძანება მიიღო, რომ შეიარაღნბულ რაზმებს დაეკავებიათ უკრაინს სახელმწიფო ბანკი,

---

მისათვის ამ 10 დღეში არ მიუღიათ, გზაზე გამოყოლოდა 50 ცხენოსანი რაოდენიმე ვერსის მანძილზე, ეს ზემო მოხსენებული სოფლები უთოვლო ვაკე ადგილებია და მიწას ამუშავებენ მთებიდგან გამოყვანილი წყლებით.

ყაზვინ—მაჰმადიანის გზა გადაიარს ხამადანის მთებს და გაივლის კერმანშახში ხანიკენისაკენ. ხამადანსა და კერმანშახს შუა სოფლებში არიან ქართველები „გიადუქ-ზალა" „საჰ ნა", „საჰ-ოდავა", „კენგავერ", „ბესითუნ" და კერმა-შაი" მაგრამ უფრო მოკლე გზა არის მალაირი"ს სტანციით. პირველი სოფელი შეგვხთებათ დოვლად-აბადი, ეს არის ძველი ქარავანის სადგური ქალაქი; მერმე „თაფრი-ჯან", „ილო-ვან" „მან-გიაბი" „ზამან-ამად", „ქედ-უქ", „აბად-მალაირ". ეს სოფლები გაყვებიან „ალბორზის"მთის ძირს; ამ მთის გვერდზე მიდის ერთი უბრალო გზა, რომელიც რვა საათის განმავლობაში მიიყვანს მოგზაურს სოფ. „მალა-ირაში" ამ სოფელში ბლომად არიან ქართველები. აგრეთვე იმყოფებიან ქართველები რაოდენობით ზემო მოხსენებულს სოფლებში, „არზამა-ფული" არის ძალა არის მახლობელი სოფელი. 1915 წ. ამ სოფელში მივიდა ორი აფიცერი, პრაპორ-ბი გიორგი სამსონის ძე შენგელია და კანდელაკი 250 სალდათით, რომელიც თითქმის სულ ქართველებისაგან შესდგებოდა. შენგელიამ და კანდელაკმა ადგილობით მამასახლისს მოსთხოვეს ჯარისათვის სურსათი. ეს მამასახლისი იყო მაღალი, ლამაზი ტანის კაცი ქართველის ტიპისა როცა მან გაიგო, რომ ესენი ყველა ქართველები არიან, მოიყვანა 90 წლის მოხუცი, რომელიც კიდევ გვარიანად ლაპარაკობდა ქართულად. მოხუცმა ყველა თავისიანებს გადასცა, რომ მათ ძველი სამშობლოდგან სტუმრებია აფიცრები ჯარით; ქალი კაცი დიდი, პატარა შემოესია ამათ, ხანში შესული კაცები ტირილ-სიცილით ესალმებოდენ თავის ძველ მოძმეებს, ქალები პირახდილი თავისუფლად ეგებებოდენ საყვარელ სტუმრებს. მამასახლისი (ქეთ-ხუდა) განკარგულებას ახდენდა. განუსაღვრელი იყო მათი სიხალისე და სტუმართ მოყვარეობა. გაიმართა მიპატიჟმოპატიჟება. მამასახლისი ქილბა-ყილა გუსეინი მიუძღ-მოუძღვებოდა ძვირფას სტუმრებს.

ოცი დღის ასეთი პატივისცემისათვის არავითარი სასყიდელი არ მიუღია სტუმართ მოყვარე ქართველ მამადიანებს აფიცრებისაგან და არც ჯარიდგან. ბოლოს დიდი ამბით გამოისტუმრეს თავიანთი ძველი მოძმე ქართველები.

აქ არიან ბახტიარებიც. როგორც წინეთ ვსწერდით, ბახტიარი ნიშნავს ბედნიერს; სპარსეთის რჯულზე გადმოსრული ხალხი სპარსელების აზრით ბახტიარი არის, ასე ფიქრობენ ოსმალებიც. აქ კი ბახტიარებს ეძახიან იმ ხალხს, რომელიც გადმოსახლებულა სპარსეთში ალექსანდრე მაკედონელის დროს—ბერმანები და ფიქრობენ ქართველებიც ყოფილა მათში გადმოყვანილი საქართველოდგან თვითონ ალექსანდრესაგან.

სერგო წერეთელი დაახლოებით იცნობს სად-ალიზა ა-შინის შვილებს. როგორც წინეთ წერილშია მოხსენებული, სად-ალიზამი ყოფილა დედით ქართველ და მას დარჩენია შვილები: „მირზა-ალისკამ-ხანი", რომელსაც მამის ადგილი დაუჭერია შაჰის სასახლეში და დიდხანს დარჩენილა სასახლის მინისტრად. ბაბუა ამისი წამოუყვანია და ალა-ალამედხანჯა"ს და შა-ჰის სასახლეში დაუყენებია „აბედარად", დაუმასახურია ამინსულთანობა (შაჰის მესაიდუმლის თანამდებობა); გვარად ყოფილა ქართველი თავადი ხიმშიაშვილი-მისი შვილიშვილი ზემო მოხსენებული მირზა-ალი ასკერ-ხანი მოუკლავთ ამ ათი წლის წინეთ სპარსეთში რევოლუციის დროს, სამწუხაროდ მისი ქართველობა რევოლუციის წინამძღოლ ქართველებს სიკვდილის შემდეგ გაეგოთ. ამის შვილები (სამი ვაჟი დარჩენია) ცხოვრობენ თეირანში, უფროსს სახელად ჰქვია „მირზა-ახმედ-ხანი". სამივენი სულ ქართველის ტიპის არიან და ძლიერ უყვართ ქართველები.

„ქიარიმ-ხან-შაპმა" დიდი მტრობა გაუწია ქართველებს. ეს იყო ქურთების წინამძღოლი რომელმაც შაპ-აბაზიდგან გადმოსახლებულ ქართველებს რჯულზე დამყარებულის მტრობით ფანატიკურ ნიადაგზე ებრძოლა, ბევრი ამოწყვიტა და ბევრი გადაიყვანა და დაასახლა ქურთების მახლობლად ამით აიხსნება, ქურთების მახლობელ სოფლებთან რომ არიან ქართველი სოფლები. ეს მოხდა სპარსელების ფანატიკობით, ამათ არ უყვარდათ ქართველები, რადგანაც ესენი არავის არ ემორჩილებოდენ და სასტიკ წინაღმდეგობას უწევდენ მოპირდაპირეს.

ამოწყვეტის შემდეგ ქიარიმმა გაიგო, რომ ქართველებს მამადიანობა უკვე მიღებული ქონოდათ. მაგრამ სიკვდილის შემდევ სინანული დაღუპუღებს რაღას უშველიდა. ქურთებსა და ქართველებ შუა მტრობა დიდხანს არ მოსპობილა. ერთმა ქართველმა სპარსელმა მიამბო, ეხლა ჩვენ ქურთები ვერაფერს გვიბედავენ მაშინაც კი როცა ჩვენი ვინმე მათგანს დაამარცხებსო.

ერთობა სპარსელ ქართველებში მამაპაპურია სადაც უნდა იყვეს ქართველი, ვაგლახად მის წინაღმდეგ ვერავინ გაბედავს ცუდ-რასმეს, რადგანაც დამარცხების დროს მოძმეს ყოველი მხრიდგან მოეშველებიან.

ამ ჟამად ყველა სპარსელქართველებში დიდი სურვილია ღმრთული დაუახლოვდენ თავის მოძმე საქართველოს. ყველა დაიმედებულია, რომ ომის შემდეგ ჩამოვარდება საქვეყნო მშვიდობა და აი სწორეთ ეს საერთო მშვიდობა გაამართლებს სპარსელი ქართველების ძველების ნაანდერძევს: „ოდესმე ისევ ვიხილავთ ჩვენს დედა საქართველოს და ჩვენს მოძმე ქართველებს, მხოლოდ ვიქნებით საფლავებით მათთან დაშორებულნი, სულით კი სამუდამოდ შეერთებულნი!?

როგორც სპარსელმა ქართველებმა დაახლოებით გაგვაცნეს ძველ ნივთებთაგან მათში არიან შენახული: ძველი ფულები, იარაღი, წიგნები, ხატები, ჯვრები, ნაქარგი, სხვადასხვა ოჯახის მოწყობილობა, ოჯახის აუჯთაგანი, ქალთა და კაცთა თავსახურავ, ძველებური კალენდარი, ანუ, როგორც ჩვენში ეძახიან "ეფუთი" ეს წიგნი უნდა იყვეს მათში გადათარგმნილი ქართულიდგან სპარსულად. სპარსელი ქართველები დარწმუნებით მიგვითითებენ ომის გათავების შესახებ თავის კალენდრებზე; მათის სიტყვით კალენდარში სწერია რომ ომი ამა 1917 წლის ზაფხულის თვეებში გათავდება

საქართველოში გავრცელებული იყო ანდრია კრიტელის წიგნი და განსაკუთრებითი ცოდნა უნდოდა მის ახსნას. ეხლაც მოიპოება ზოგიერთ ოჯახებში ეს წიგნი რომელშიაც დაახლოვებით ნაჩვენებია ეხლანდელ ომზე, როდის დაიწყება და გათავდება ჩვენის ფიქრით ეს წიგნი ექნება წამოღებული სპარსელ ქართველებს გადმოსახლების დროს, იქნება გადათარგმნილი სპარსულად, ან არაბულად და ეს უნდა იყვეს ძველი კალენდარი, რომელზედაც ეხლანდელი სპარსელი ქართველები მიგვითითებენ.

ომის შემდეგ საჭირო იქნება დაინიშნოს საქართველოში კომისია, რომელსაც მიენდობა ჩვენი ძველი მოძმე ქართველების კარგა გაცნობა და მათთან საქართველოის და მათი საქართველოსთან დაახლოვება, რაც ადვილი მოსაწყობი იქნება საქართველოს ავტონომიის დროს.

**მღ. გიორგი ტყეშელაშვილი.**

ყაზვინი 20 აპრილი 1917 წ.

ხაზინა სხვადასხვა დაწესებულებანი, რის გამო მან განკარგულება მოახდინა რომ ეს დაწესებულებანი ჯარმა დაიკავოს.

ურილობის დამთავრება

**ჰელსინგფორსი.** ივნისის 7. დამთავრდა ყრილობა ფინეთის სოციალ დემოკრატების, რომელზედაც გამოიტანეს რეზოლუცია: ყრილობა სოლიდარობას უცხადებს ციმმერვალდის 1915 წლის კონფერენციას, რომელიც მოითხოვს ფინეთის დამოკიდებულობას. მშვიდობიანობის დროს რუსეთს უფლება არ აქვს ფინეთში იყოლიოს თავისი ჯარი. ეკონომიური დამოკიდებულობა კი მოწესრიგებულ უნდა იქნეს ერთი იერთ შორის თანხმობით ისე, როგორც სხვა სახელმწიფოებთან. ყრილობამ აირჩია 4 დელეგატი სრულიად რუსეთის დეპუტატთა ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად.

## ორი სიტყვა სვანებზე.

7 მაისს, ქუთაისის დუქნებში ხუთი სვანი დაიარებოდა. სამი კაცი იყო და ორი ქალი, ხუთივენი სადათ, მაგრამ ლამაზად და სუფთათ იყვენ ჩაცმულნი. მედუქნეს, მაგიდაზე გადასაფარებელ და კედლების მოსაჩითავ მასალას ევაჭრებოდენენ. განსაკუთრებით ამ მასალის ყიდვით ქალები იყვნენ დაინტერესებული.

დარბაისლური ქართული ენით ისინი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, ხომ დაშვენდება ჩვენ „სტოლს ეს „კლიონკა“ და ეს „შპალერი“ ჩვენი სახლის კედლებსაო. როგორც გამოკითხვით გავიგე, ეს ჩვენი საყვარელი ღვიძლი ძმები და დები ზემო სვანეთიდან იყვნენ. ამ გარემოებამ ქართველი კაცი გული უნდა აალფრთოვანოს და გაახაროს, მე მგონია.

უნდა გაახაროს მიტომ, რომ ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ ქართველი ხალხი კაი ხანია რაც მომზადებულია საკუთარი კულტურული ცხოვრებისათვის. ძველი რეჟიმის დროს თუ ჩვენ ველურებად გვნათლავდენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მართლა ველურები ვიყავით. ველურ კაცს, სხვაც ველური გონია. ეხლანდელი თავისუფალი ცხოვრება, თუ ღმერთი შეგვეწია და მალე თავი კალაპოტში ჩადგა, ცხადათ დაანახვებს განათლებულ კაცობრიობას, თუ რა შემოქმედებითი ნიჭის პატრონია ქართველი ერი. სალამი ჩვენ ძმებს სვანებს, რომლებიც ჩვენთან ერთად განახლებულ თავისუფალ ცხოვრებაში ებმიან.

მ. ბუაჩიძე.

## მოწერილი ამბები.

**პატარა ონი (რაჭა).** მზის სხივებმა ჩვენ ბნელ საკანშიაც შამოანათა; ხალხი გამოცოცხლდა და იგრძნო სურვილი და საჭიროება გათვითცნობიერებისა. რევოლუციამ თვის ფერხულში პატარა ონელებიც ჩააბა. ადგილობრივმა ინტელიგენციამ გადასწყვიტა მოაწყოს აქ სამკითხველო, რისთვისაც 21 მაისს იყო დადგმული პიესები: „მოტყუებულნი“ და „უბედური დღე“. ხალხი ბლომად დაესწრო წარმოდგენის წინ პატარა ბავშმა წაიკითხა ლექსი. მიუხედავათ იმისა, რომ ზოგი სცენის მოყვარეთაგანი პირველად თამაშობდა, წარმოდგენამ მშვენიერად ჩაიარა, ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დარჩა. ერთმა დამსწრეთაგანმა, სახელდობრ მალაქია სალარაძემ, იქვე გადსცა 20 მან. სამკითხველოს სასარგებლოდ. შამოვიდა სულ ხარჯებს გარდა ასმანეთამდის. გამგეობამ გადასწყვიტა გამოიწეროს ორ-ორი ორგანო ყოველ ნაირი მიმართულებისა. რადგან სამკითხველო ღარიბია წიგნაკებით და სახალხო ბროშიურებით, ამიტომ გამგეობა სთხოვს უმორჩილესად ყველას, ვისაც გული შესტკივა აქეთურ გლეხებზე, გაგვიწიოს დახმარება რითაც კი შეიძლება. ყოველივე შემოწირულება შეიძლება მივიღოთ შემდეგი მისამართით: ჰრებალო, პატარა ონი. ფერშალ მალაქია სალარაძეს.

„ჯიუტი“.

## ვაჟა-ფშაველას

სახელობის ბიბლიოთეკის მზრუნველი კომიტეტის მოქმედების წლიური ანგარიში და მის გარშემო ატეხილ უთანხმოების შესახებ ჭეშმარიტების აღდგენა*).

1915 წლის 22 ივლისს 17-ტი კაცისაგან შემდგარმა მზრუნველმა კომიტეტმა, აირჩია რა თავმჯდომარედ მასწავლებელი არჩილ მიქაბერიძე, გამოჰყო თავის შემადგენლობიდან კომისია, რომელსაც ქეთაისში, ღულაძისეულ მოედნის ირგვლივ, დეკანოზ ა. შანიძის მეთაურობით, უნდა დაექირავებინა ბინა აღნიშნულ ბიბლიოთეკისთვის, მაგრამ, მიუხედავად კომიტეტის დახმარებისა, მან ოთხი თვის განმავლობაში ხელსაყრელ ფასებში ბინა ვერ დაიქირავა. ამ ხნის განმავლობაში კი ა. მიქაბერიძემ, კომიტეტის მინდობილობით; ხსენებულ მოედანზე ქალაქის საბჭოსაგან ბიბლიოთეკის სახელზე შეიძინა 30 საჟენი მიწა საკუთარ შენობის ასაგებად და ქალაქის ინჟენერ ფრიკს უსასყიდლოდ დაამზადებია პროექტი სამოთახიან შენობისა. ფრიკმა, მიულოცა რა კომიტეტს ადგილის შეძენა, აღუთქვა მას ყოველმხრივი დახმარება მომავალშიაც.

აღფრთოვანებულმა კომიტეტმა, აირჩია რა ფრიკი საზოგადოების საპატიო წევრად, დაავალა საამშენებლო კომისიას, რომელშიაც მიქაბერიძეც შედიოდა, აერჩია ფრიკი თავმჯდომარედ და მისი ხელმძღვანელობით ემოქმედნა. ფრიკმა, აღუთქვა რა კომისიას ფულისა და ყოველ გვარ მასალის შოვნა მოკლე დროში შენობის ასაგებად, ურჩია მას დაენებებინა კომიტეტს თავი ბინის დაქირავებისთვის და დაადგენინა აიღოს სესხად კომიტეტისაგან 50 მან. ადგილის შემოკავებისათვის შესაძენ მასალის უშიშრად დასაწყობად. ხოლო რადგანაც, მალარის უმოქმედოის გამო, ფულის გამოტანა კომიტეტის კასიდან არ ხერხდებოდა, კომისიის მოლარს თ. ბახტაძეს ა. მიქაბერიძემ თავისი საკუთარი ფული გადასცა.

ამის შემდეგ განვლო ექვსმა თვემ, მაგრამ კომისიას არც ფული გააჩნდა და არც მასალა, რადგანაც ბ. ფრიკი მისგანვე დანიშნულ-სხდომებსაც-კი არ ესწრებოდა. შეფიქრიანებულმა კომიტეტმა დაადგინა მოიწვიოს ფრიკი თავის სხდომაზე საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად. ეს რომ ფრიკმა გაიგო, განრისხდა, კრებაზე დასწრება არ ინება და უბრძანა კომიტეტს პროჟექტორ-რადიუმში სეანსების გამართვა. კომიტეტმა საქმის მოწყობა ა. მიქაბერიძეს მიანდო, რომლის მეცადინეობით სეანსებმა ბიბლიოთეკას 450 მანეთამდე წმინდა შემოსავალი მისცა. ფული კომიტეტმა ადგილობრივ ბანკში დააბინავა.

თუმცაღა ფრიკს, რომელიც სეანსებსაც არ დასწრებია, ამდენი ფულის შეკრება ძლიერ ესიამოვნა, მაგრამ, იმავე დროს, მისი ასე „უშიშრად დაბინავებაც“ ძლიერ ეწყინა და დაუყონებლივ მოწვეულ კომისიის კრებაზე ჯერ მოინდომა თავის სახელზე ფულის შენახვა, მაგრამ მერე, მიქაბერიძის პროტესტის შემდეგ, დაადგინა ფულები კომისიის სახელზე შენახულიყო. მიქაბერიძე არც ამის მომხრე იყო, რადგანაც ქუთაისში ხმები დადიოდა, ფრიკი ქუთაისიდან სამუდამოდ რუსეთში წასვლას აპირებსო. ამის შემდეგ ფრიკს ფულის კასიდან კასაში გადატანა აღარ მოუთხოვია, მაგრამ, სამაგიეროდ, კომისიის წევრთ დაავალა, რათა ისინი დაუყონებლივ შერიგებოდენ მის მიერ მოყვანილ ხუროს, რომელმაც შენობის მარტო ხის მასალის დამუშავებაში 500 მან. ითხოვა და ისიც მაშინ, როდესაც კომისიას ერთი ღერი ფიცარიც არ გააჩნდა. ეს ფული ფრიკმა ნორმალურ ფასად აღიარა, ხოლო კომისიამ შეუძლებლად სცნო ამდენი ფული მარტო ხუროს მისცემოდა, და საკითხიც ღიად დარჩა.

1916 წ. 10 ივნისს კომიტეტმა დაავალა კომისიას გაეგო ფრიკიდან, „რაში უნდა გამოხატულიყო მისი დახმარება ან როდის მოევსწრებოდით ამ დახმარებას“. კომისია ბევრს ეცადა, მაგრამ ფრიკი ვერ იგდო ხელში მოსალაპარაკებლად. ბოლოს, მიქაბერიძემ ფერაძითურთ პრესის საშვალებით მოსთხოვეს მას ან დაუყონებლივ სისრულეში მოეყვანა კომისიის ოქმებში აღნიშნული თვისი დაპირებანი, ან დაუყონებლივვე ხელი აეღო კომისიის თავმჯდომარეობაზე. მან მეორე ირჩია და რამოდენიმე დღის შემდეგ რუსეთში გაემგზავრა.

ყინულზე გაცურებულმა კომიტეტმა 2 ივლისს დაადგინა: „საკუთარ შენობის აგება გადიდოს უმჯობეს დრომდე, ხოლო ბინის დაქირავება და შიგ დაუყონებლივ ბიბლიოთეკის გახსნა მიენდოს მამა ს. ბუბლაძეს, მარჯანიშვილს და ნაცრიშვილს“.

ამ წლის განმავლობაში, გარდა ზემო აღნიშნულ ფულისა, მიქაბერიძის მეცადინეობით, 29 ივნისს ყულაბებით შეკრიბა 130 მანეთამდე; კომიტეტის წევრებმა მოაგროვეს 300 მან., მაშასადამე, ბიბლიოთეკის სახელზე წლის ბოლოს ბანკში ინახებოდა 900 მანეთამდე.

აი, სწორედ ეს ფული გადაიქცა კომიტეტის თავმჯდომარისა და ზოგიერთ წევრთა შორის სადაო ვაშლად.

ამ ერთი წლის განმავლობაში მიქაბერიძე თანდათან რწმუნდებოდა, რომ კომიტეტის წევრთა ერთი ჯგუფის მოქმედება წარუხოცელ ჩირქს მოსცხებდა მას, და გადაწყვიტა წლის თავზე კომიტეტის თავმჯდომარეობაზე ხელი აეღო. ეს გადაწყვეტილება მან 2 ივლისს კიდევაც განუცხადა კომიტეტს და წინადადება მისცა მას აერჩია ახალი თავმჯდომარე. ამის გაგონებაზე ზოგიერთმა წევრებმა განაცხადეს, რომ ისინიც თავს დაანებებენ კომიტეტის წევრობას; დანარჩენებმა კი უთხრეს მას, რომ ეხლა მათ მის მაგიერი სათავმჯდომარო კაცი არა ჰყავთ ათვალთვალებული და სთხოვეს მას მოეცადნა სეკტემბრამდე, როდესაც საავარაკოდ წასულნი წევრნი ქუთაისში დაბრუნდებოდენ; თუ მიქაბერიძე მაშინაც დაჟინებით მოითხოვდა თავმჯდომარეობის მოვალეობისაგან განთავისუფლებასა, აღუთქვეს სურვილის ასრულება. მიქაბერიძეც დანთახმდა.

თავმჯდომარის კანონიერ მოქმედებით შეურაცხყოფილმა წევრებმა, მოჰკრეს რა ყური მათთვის სასიამოვნო განცხადებას, მიზნად დაისახეს მიქაბერიძის უდროოდ თავმჯდომარეობიდან გადაყენებით მისი ზნეობრივად დაპანღურება და ბიბლიოთეკის საქმეების მართვა-გამგეობის უზურპატორულად ხელში ჩაგდება. „შეთქმულობის“ სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი ნაცრიშვილი აღმოჩნდა, რომელმაც ჯერ ორ სკამზე ჯდომით აწარმოვა საქმე, მერე-კი მისი აშკარად ხელმძღვანელობა იკისრა: მან მიატოვა ბინის დაქირავება და, შეუერთდა რა ჩხაიძეს, კოსტავას და თევდორაძეს, იწყო ლანძღვა ცილის წამებით სავსე წერილების წერა და „მგლური“ კრებების მართვა ახალ თავმჯდომარის ასარჩევად. მალე საქმეში ჩაერია ბიბლიოთეკების სექციის თავმჯდომარე ნაფიცი ვექილი გ. გიორგაძე, და წ—კ. საზოგადოების გამგეობას მიქაბერიძემაც წარუდგინა ვრცელი მოხსენება, რომელშიაც მოითხოვდა საქმის დაწვრილებით გამოძიების შემდეგ მინიჭებოდა კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსა.

1916 წ. 7 სეკტემბერს გამგეობამ დაადგინა: „დაევალოს ბიბლიოთეკების სექციას მოახდინოს რევიზია ყველა საბუთებისა, შემოსავალ გასავლისა და, საზოგადოდ, კომიტეტისა და მისი თავმჯდომარის მოქმედებისა, შეადგინოს რევიზიის დაწვრილებითი ოქმი და წარუდგინოს გამგეობას; სექციასვე დაევალოს გამოარკვიოს ის კრება, რომელმაც ახალი თავჯდომარე აირჩია.“ (ასლი 57).

სექციამ გამოძიებას ხუთი სხდომა მოანდომა და საბუთებისა და მოწმეების საშვალებით გამოარკვია, რომ ზოგიერთი კომიტეტის წევრი მოითხოვდა უკანტროლოდ ფულების ხარჯვას; მიქაბერიძეკი ამის წინაამდეგი იყო და ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ფულების მხარჯველთაგან კანონიერ გამართლებულ საბუთებს მოითხოვდა. უკმაყოფილო წევრებმა, აღმართეს რა ზეცად საყვირნი იერიქონისინი, იწყეს ქაქანი თავმჯდომარისაგან წევრთადმი, ვითომდა, უნდობლობის გამოცხადებაზე.

პირველობა ამ შემთხევაში წილად ხვდა მიქაბერიძის თავმჯდომარედ არჩევით ნაწყენ ნაცრიშვილს, რომელსაც განსაკუთრებულ ფურცლებით შეკრებილ ფულების საქმე ისე აეწეწ-დაეწეწა, რომ მათი რაოდენობის გაგება 23 დეკემბერს მამა შუბლაძის „თანამშრომლობით“ ძლიერ გაჭირდა. ბოლოს ნაცრიშვილმა მიქაბერიძეს კვიტანცია ჩამოართვა, მაგრამ ფულები სრულად არ ჩააბარა. მიქაბერიძის შეკითხვაზე მან განაცხადა, რომ 5 მან. ბეჭედსა და მოსაწვევ ბარათებში დაეხარჯა. მიქაბერიძემ უთხრა, რომ ჯერ ფული სავსებით მოლარეს უნდა ჩაებარებოდა საკვიტანციო წიგნში ჩასაწერად, და მერე, გამამართლებელ საბუთების წარდგენის დროს, ნახარჯი თვითონ უნდა მიეღო, თორემ საქმე აიწეწ-დაიწეწებაო. მაგისთანა ბიუროკრატიულ წესრიგს მე არ ვემორჩილებიო, უთხრა ნაცრიშვილმა; ხოლო, თუ მაინცა და მაინც საბუთი გნებავს, აი საბუთიცო, და მიაწოდა კარანდაშით მისივე ხელით ნაწერი საბუთი. მიქაბერიძემ ეს საბუთი ყალბათ იცნო და დაავალა მას მებეჭდისა და მესტამბისაგან კანონიერი საბუთები ეშოვნა. რადგანაც ნაცრიშვილმა 5 მან. მაინც არ ჩააბარა მიქაბერიძეს, ამ უკანასკნელმა საჭირო ჯამი საკუთარი ფულით შეავსო და იმ დღესვე მამა შუბლაძის თანადასწრებით მოლარეს გადასცა. 2 ივლისს, მიქაბერიძის შეკითხვაზე, ნაცრიშვილმა სთხოვა კომიტეტს, მიცემოდა მიქაბერიძეს ხსენებული 5 მან., ხოლო საბუთები არც მაშინ წარმოუდგენია.

ბ. გიორგაძის წინადადებით, სექციის პირველ სხდომას უნდა დასწრებოდნენ ის კომიტეტის წევრნი, რომელთაც საბუთები ჰქონდათ ხელში. მოვიდნენ ყველანი, გარდა ნაცრიშვილისა, რომელმაც სექციის თავმჯდომარეს 4 $^{1}/_{2}$ მანეთის საბუთები და 10 შაური ფულად გამოუგზავნა. ეს ათი შაური სექციამ, აზრთა გმცვლა გამოცვლის შემდეგ, მოლარეს შემოწირულ ფულად ჩააწერია, მიქაბერიძემ-კი მაშინ ის ფული შესაფერის სახელწოდებით მონათლა, რადგანაც ურევიზიოთ ის ნაცრიშვილის ჯიბის ფსკერში ჩარჩებოდა. თუ ნაცრიშვილმა მიქაბერიძის თავმჯდომარეობის დროსაც-კი **შრომის ფასად** ათი პროცენტის აღება მოახერხა, შენ თვითონ გამოიცან, მკითხველო, თუ როგორ აფასებს ის თავის შრომას სხვა დროს? უდროობის გამო, სექციას მისი წერილების ღირსება არ შეუფასებია: მისი განხილვა-დაფასება სხვებს უნდა მიენდოს.

რევიზიის შემდეგ ნაცრიშვილმა მიქაბერიძეს შენდობა-შერიგება სთხოვა; მიქაბერიძემ პრესის საშვალებით ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, მაგრამ ეს მან არ ინება და ის ჩაიდინა, რის მოწმენიც იქ დამსწრენი გახდნენ. მიქაბერიძემ მას „სინიდისის მამხილებელი“ კერძო წერილიც მისწერა, მაგრამ პასუხს ვერ ეღირსა.

ვარლამ თევდორაძემ თავის მამას ნახ. საჟ. სილა მოატანინა. მიქაბერიძემ მას უსაბუთოდ ფული არ მისცა, და სილის ზიდვაც შესწყდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ მან ვილაცეებს 30 მან. ქვა და სილა ისევ მოატანინა. მიქაბერიძემ უსაბუთოდ არც ეხლა მისცა მას ფული. თევდორაძე გაჯავრდა, გაიქცა. რამოდენიმე დღის შემდეგ მან ჰითავას დუქანში მიუტანა მიქაბერიძეს 30 მანეთის საბუთი, რომელზედაც ვინ ვის მაგიერ რასა სწერს, კარგადაც რომ დააკვირდეთ, ვერ გაიგებთ. მიქაბერიძემ უთხრა, წამიწერე საბუთზე, რომ შენ ჩემგან ამდენი ნი და ამდენი მიიღე მასალის მომტანთადმი გარდასაცემად, და მე ფულს მოგართმეო; მამაშენის მაგივრად-კი ცალკე კვიტანცია მომეციო. მან არც ერთი ინება. არც მეორე, გაჯავრდა, ქვა შელმა შეაგდო, თავი შეუშვირა. შევშინდით. როცა ქვა, საბედნიეროდ, გვერდით დავარდა, და ჩვენც დავმშვიდდით, დამწრე კომიტეტის წევრმა ფერაძემ წყნარად მოახსენა: „საკვირველია, ღმერთმანი: რად არა გსურს კანონიერი თხოვნა შეასრულოო?“ მოკლე პაუზის შემდეგ, გამოგლიჯა მიქაბერიძეს საბუთი ხელში და წააწერა, რომ მან მიიღო 8 მან. მამამისისადმი გარდასაცემათ, ხოლო იქ აღნიშნული 30 მან. მაინც არ მოიხსენია. მიუხედავად ამისა, მას მიქაბერიძემ ფული ჩააბარა და საბუთი სექციას წარუდგინა.

თევდორაძე ერთ საჟენ **ნაჩუქარ** მომტანს 25 მან. შეპირებოდა. კირის მომტანმა მიქაბერიძის შეკითხვაზე კომიტეტის თანადასწრებით განაცხადა, რომ **მისთვის კირის ზიდვის დროს თვალ — ყური არავის უდევნებია.** კომიტეტის წინადადებით მიქაბერიძეს იქვე მომტანს 25 მან. გადასცა. სიტყვიერი შეურაცხყოფანი მას მიქაბერიძემ მიუტევა. იმის შესახებ, თუ თევდორაძე რომელ კომიტეტის კრებას როგორის სიფხიზლით ესწრებოდა, სექციამ მსჯელობა ვერ მოასწრო.

თ. ბახტაძის მოლ[illegible] ნაწილობრივ განიხილეს. პირვ. შეხვ[illegible] თუმნიან ლობის გაკეთება შეადგენს, მეორისა — ფრიკის მიერ მის სახელზე დაწერილი ხუთი თუმნიანი ქაღალდი. [illegible] გამო, პირველი ნაწილი გამოუძიებელი დარჩა; ხუთი თუმნის ქაღალდი კი მან მიქაბერიძეს მიუგდო: ფული შენია, შენ აიღეო. მიქაბერიძემ უმისოდ ფული ვერ აიღო და ქაღალდი ს. ყიფიანს ჩააბარა გიორგაძისადმი გადასაცემად.

ეხლა დროა ნინო მდივნის ასულსაც შევეხოთ. გამოირკვა, რომ მან, როგორც მოლარემ, ჩაბარებული წიგნები კომიტეტის დადგენილების თანახმად არ აწარმოვა და მით აიძულა მიქაბერიძე ბიბლიოთეკის სასარგებლოდ 150 მანეთამდე საკუთარი ფული დაეხარჯა. 1916 წ. 10 ივნისს კომიტეტმა დაავალა მიქაბერიძეს და მარჯანიშვილს მისულიყვნენ მოლარესთან და წიგნების წარმოება წესისამებრ დაეწყებინებიათ. აღმოჩნდა, რომ მოლარეს თანამდებობის ჩაბარების დროს მიღებული 25 მან. ჯერაც ჩაუწერელი ჰქონდა საკვიტანციო წიგნში შემოსავალ-გასავლის წიგნსაც ისევ თავისებურად აპირებდა დაწყებას. მიქაბერიძე უშედეგოდ დაბრუნდა უკან.

მზრუნველი კომიტეტის ყოფილი თავჯდომარე **ა. მიქაბერიძე.**

(დასასრული იქნება).

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ავტორის თხოვნით და ავტორისავე პასუხისმგებლობით, **რედ.**

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**

## ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

ქ. ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის კარებთან ჭეიშვილის სახლში
**მ. კ ა შ ი ა**
არჩენს თვალების სნეულებათ (თეთრ გადაკრულს უოპერაციოთ)

## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან — დილის — 8 ს. წ.
„ — სალამ. — 8 ს. 50 „
ბათომიდან — დილისით — 12 ს. 40 „
„ — ღამის — 1 ს. „
ფოთიდან — დილის — 10 ს. 26 „
ტყიბულიდან — საღამოს — 6 ს. 50 „
ხაშურიდან — დილის — 9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ — დილის 11 ს. — „
„ — ღამის — 11 ს. 34 „
ბათომისაკენ — საღამოს 7 ს. 5 „
„ — დილის — 7 ს. „
ფოთისაკენ — დილისით — 4 ს. „
ტყიბულისაკენ — დილის — 8 ს. 40 „
ხაშურისაკენ — დღით — 5 ს. 20 „

ქუთაისში დაარსდა ახალიწიგნის გამომცემლობა
**„განათლება“**
რომელსაც მიზნად აქვს დაუმზადოს და მიაწოდოს განახლებულ ქართულ შკოლას როგორც დაბალს, ისე საშუალოს, და აგრეთვე მომავალ უმაღლეს სასწავლებელს შესაფერი სახელმძღვანელოები. სალიტერატურო და სამეცნიერო წიგნები, რუქები, ატლასები და ყოველგვარი გამოცემები, რაც ქართულ შკოლას გამოადგება.
ავტორებს შეუძლიათ გაუგზავნონ თავის ნაწარმოები და მიმართონ პირობების გასაგებად გამომცემლობის კანტორის გამგეს გიორგი ს. სვანიძეს დილის 9 ს. 12 ს—დი. მისამართი: ქუთაისი ქართული გიმნაზია

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გკიალოვის სახლი, ქუთაისში

ეროვნული ბიბლიოთეკა